

**2023 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯ3“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2020 წლის 01 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445585037, ქობულეთის რაიონი, ს. ალაშხარი, 1-ლი ქ., N 21. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, იაშა ჯაიანი (პ.გ.61004011649) - 100%, დირექტორი იაშა ჯაიანი (პ.გ.61004011649).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სამსენებლო მასალების იმპორტი რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობის მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2020 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან ვამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დასუქლია.



სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შემცირება. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები



ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და



(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

ზარაგები

ზარაგები აღიარდება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. ზარაგების ჩამონერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის მიმდინარე ფული საღაღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.



გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავტო და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და



შესაძლოა გაურკვეველობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2022-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარმოდგენის ვალუტა და ეროვნულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი საფალუტო კურსები

საფალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები. დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:



2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.9753 ლარი;

1 EUR=2.6894 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	3873	838
ლარი საბანკო ანგარიშებზე	18212	59354
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	122088	46510
ევროები საბანკო ანგარიშებზე		
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	
სულ:	144173	106702

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	127639	46557
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	0	0
სულ:	127639	46557

3.3. მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით



სხვა მიმდინარე აქტივები	53646	157
წინასწარ გადახდილი გადასახადები	53546	0
სულ:	53646	157

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	0
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	303002	257583
სულ:	303002	257583

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1352282	1308663
საწვავ-საქსები მასალები		
სულ:	1352282	1308663

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	318988	467968
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	90121
მანქანა დანადგარები	334565	420304
კავშირგაბმულობა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	59522	48578
ავეჯი და ინვენტარი	6606	5872
სატრანსპორტო საშუალებები	82652	73296
სხვა ძირითადი საშუალებები	019989	15959
სულ:	822322	1122098



კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 85761 ლარი;

2023 წლის ბოლოს - 159455 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	0	0
სულ:	0	0

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 0 ლარი;

2023 წლის ბოლოს - 0 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1055627	1112390
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	1055627	1112390

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გრძელვადიანი სესხი	1081991	832952
მიმდინარე სესხი	245876	0
სულ:	1327867	832952



3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	0	35680
სულ:	0	35680

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1892	7255
სულ:	1892	7255

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
მოგება	417677	852036
სულ:	417677	852036

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული კაპიტალი



სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2022-2023 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2020 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2022-2023 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შენონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. მიწოდების ხარჯები:

		2022 წელი	2021 წელი
7310	რეკლამის ხარჯები	11481.1	37639.99
7340	შპს პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	12838.2	16766.6
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	7288.92	6963.8
	სულ:	31608.15	61370.39

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2022 წელი	2021 წელი
7410	შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	251306.19	285793.5
7415	საბენსიო ფონდის ხარჯი	4946.04	5969.27
7420	საიჯარო ქირა	65697.91	62729.74
7422	ელექტროენერგიის ხარჯები	0	555.07
7423	გაზი და წყალი	0	0
7424	დასფთავება და ანალოგიური ხარჯები	163.8	655.2
7425	მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	0	0
7426	საკანცელარიო ხარჯები	1233.45	686.38
7427	კომპიუტერის ხარჯები	67.8	478.81
7430	კომუნიკაციის ხარჯები	2169.53	11379.06
7431	დაცვის ხარჯები	5941.53	10294.02
7440	საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	0	0
7450	საკონსულტაციო და ადვოკატის ხარჯები	7532.50	9285
7455	საერთო დანიშნულების ძირით. საშალებების ცვეთა	60790	73694.22
7456	საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	0	0
7465	საგადასახადო ხარჯები	4711	7716.35
7470	საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	19967.43	27328.3



7477	ხარჯები რომლებიც იბეგრება მოგების გადასახადით	0	0
7481	ავტომატური რემონტის ხარჯები	1992.1	3811.22
7490	სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	15341.89	28358.04
	სულ:	441861.17	528734.1

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2022 წელი	2021 წელი
8180	დადებითი საკრსო სხვაობები	105683.83	15412.41
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4546.68	5513.37
	სულ:	110230.51	20925.78

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

		2022 წელი	2021 წელი
8210	საპროცენტო ხარჯები	22326.38	42543.85
8280	უარყოფითი საკრსო სხვაობები	49804.45	41819.74
8285	საგადასახადო ჯარიმები და სარაგები	6381.63	94.47
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1708.09	58.48
	სულ:	80220.55	84516.54

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 11 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო აღვილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 11 სექტემბერს.

დირექტორი:

იაშა ჯაიანი

11.09.2024 წ.



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	
მარაგები	
მზა პროდუქცია	
სხვა	
საინვესტიციო ქონება	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	
ბიოლოგიური აქტივები	
თვითღირებულების მოდელით	
გადაფასების მოდელით	
გუდვილი	
სხვა არამატერიალური აქტივები	
ძირითადი საშუალებები	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	
სულ აქტივები	

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	
საგაჭრო ვალდებულებები	
ანარიკები	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	
საგადასახადო ვალდებულებები	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	
მიღებული გრანტები	
სხვა ვალდებულებები	
სულ ვალდებულებები	

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	
საემისიო შემოსავალი	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	
გადაფასების რეზერვი	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	
სულ საკუთარი კაპიტალი	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	
სულ მოკლევადიანი აქტივები	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	



31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
106702	144173	52975
46557	127639	4647
257583	303002	466132
1308663	1352282	649522
1308663	1352282	649522
0	0	0
0	0	0
157	53646	44725
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
1122098	822321	769558
0	0	0
0	0	0
0	0	0
2841760	2803063	1987559
1112390	1055627	1037760
0	0	0
0	0	0
0	0	0
1447	0	0
0	0	0
0	245876	562480
832952	1081991	282280
0	0	0
42935	1892	0
1989724	2385386	1882520
0	0	0
0	0	0
0	0	0
852036	417677	105039
0	0	0
0	0	0
852036	417677	105039
2841760	2803063	1987559
1719662	1980742	1218001
0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები
ნეტო ამონაგები
საქონლის გაყიდვიდან
მომსახურების გაწვიდან
სამშენებლო ხელშეკრულებიდან
სხვა

გაყიდვების თვითღირებულება
საწყისი მარაგები
მარაგების შეყიდვა
გადახვების დანახარჯები
საბოლოო მარაგები
საერთო მოგება
სხვა საოპერაციო შემოსავალი
დასაქმებულთა ანაზღაურება
ცეფთა / ამორტიზაციის ხარჯი
საპროექტო შემოსავალი
საპროექტო ხარჯი
ოჯრის ხარჯი
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
სულ საოპერაციო ხარჯები
საოპერაციო მოგება

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უპირობო გაჭირბიდან და საკუთერ სახსრების გადაფასებიდან
მდებრული დიფიდენდი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)
მოგება / (მარადი) მოგების გადასახადის ხარჯმდე განგრძობითი ოპერაციებიდან
მოგების გადასახადის ხარჯი
საანგარიშებო პერიოდის მოგება / მარადი

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეგრე
სხვა (მათ შორის, ნილი ერთობლივი და შიკებისი საანგარიშების ურავი ქონების გადაფასების რეგრე და დადგენილ გადასახდილიანი პროგრამები)
სხვა სრული შემოსავალი / (მარადი), სულ:
მოთბანი სრული შემოსავალი / (მარადი)
სა კუთბანი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის დასაწყისში
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში, 'კაპიტალის გამრდა', კოპერატივის შემთხვევაში 'საბიო კაპიტალის გამრდა')
განაწილება შიკ კუთრებში (მათ შორის დიფიდენდი)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში
კაპიტალის სხვა ცვლილებები
საკუთარი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის ბოლის

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

სხვა სრული შემოსავალი / (მარადი):

31/12/2023	31/12/2022
4601707	3509237
4596193	3448812
0	0
0	0
5514	60425
-3508139	-2692714
0	0
0	0
0	0
0	0
1093568	816523
0	0
-291763	-256252
-73694	-60790
49	0
-42544	-22326
-62730	-65698
-188527	-98819
-659209	-503885
434359	312638
0	0
0	0
0	0
0	0
434359	312638
0	0
0	0
0	0
434359	312638
417677	105039
0	0
0	0
0	0
0	0
852036	417677



Handwritten signature in blue ink.

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2023 31/12/2022

ფულადი სახსრების მოძრაობა	
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	489059 139530
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0 0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-532728 -33240
ფულადი სახსრების შეძენა (გასვლა)	-43669 106290
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	6198 -15092
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	144173 52975
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	106702 144173

